პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 40 (6601) 27 1980 წ. თებერვალი, ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან





## დღეს იწყება

**სსრ კავშირის თასის გათამაშება ფეხბურთში თბილისის ზონის გუნდებს შორის. მონაწილეობენ: „დინამო" (თბილისი), „ქაირათი" (ალმა-ათა), „ტორპედო" (ქუთაისი), „სპარტაკი" (ორჯონიკიძე), ასკ (ოდესა), ასკ (ხაბაროვსკი).**

მატჩები გაიმართება ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის „დინამოს", თბილისის „ლოკომოტივისა" და რუსთავის „მეტალურგის" სტადიონებზე.

პირველი დღის კალენდარი ასეთია: **„დინამო" (თბილისი) — ასკ (ხაბაროვსკი)** — „დინამოს" სტადიონი; **„ტორპედო" (ქუთაისი) — „სპარტაკი" (ორჯონიკიძე)** — „ლოკომოტივის" სტადიონი; **„ქაირათი" (ალმა-ათა) — ასკ (ოდესა)** — „მეტალურგის" სტადიონი.

ყველა მატჩი იწყება 16 საათსა და 30 წუთზე.

**ფეხბურთის მოყვარულებს ვულოცავთ ახალი სეზონის გახსნას!**

ბაკურიანი-80

## პირველი სტარტები

**„ბურევესტნიკის" სამთო-სათხილამურო ბაზის ტერიტორიაზე საზეიმოდ გაიხსნა საქართველოს პროფკავშირთა სპორტული საზოგადოებების ზამთრის ტრადიციული სპარტაკიადა.**

შეჯიბრებაში მონაწილეობენ „კოლმეურნის", „სპარტაკის", „განთიადის", „ბურევესტნიკისა" და „ვოდნიკის" კოლექტივები. ტურნირი ოთხ დღეს გაგრძელდება. მის პროგრამაშია რბოლები, სამთო-სათხილამურო სპორტი, ტრამპლინიდან ხტომები —. გამარჯვებისთვის მოზრდილები და მოზარდები იბრძვიან.

გიგანტურ სლალომში ქალთა შეჯიბრების დაწყების წინ ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ რესპუბლიკის ერთ-ერთი უძლიერესი სამთომოთხილამურე მ. კოზანაშვილი („კოლმეურნე") გაიმარჯვებდა. ასეც მოხდა. ტრასა მან 1.15,7-ში დაფარა და შეინარჩუნა სპარტაკიადის ჩემპიონობა. II ადგილზე გავიდა ს. ნასყიდაშვილი („ბურევესტნიკი")—1.21,0, III — მ. ხრიკაძე („კოლმეურნე") — 1.56,3.

გოგონებში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: კ. ბოკერია („ბურევესტნიკი") — 1.26,7, მ. ჯანგობეგოვა („კოლმეურნე")—1.35,1, ე. ხვედელიძე („ბურევესტნიკი") — 1.35,4.

ვაჟთა შეჯიბრებაში თ. ჯაფარიძემ („ბურევესტნიკი") და დ. თვაურმა („კოლმეურნე") ერთნაირი მაჩვენებელი მოიპოვეს — 1.12,1. მსაჯთა კოლეგიამ ორივეს პირველი ადგილი მიაკუთვნა. III ადგილზეა სპარტაკელი თ. ხუციშვილი — 1.14,2, ბიჭებში იმარჯვა გ. ხაზარაძემ („ბურევესტნიკი") — 1.16,5, II იყო დ. ჯაფარიძე („კოლმეურნე") — 1.16,6, III — გ. დევდარიანი („ბურევესტნიკი") — 1.19,2.

პირველ დღეს ბრძოლაში მორბენლებიც ჩაებნენ. ამ დღეს ვაჟები 30 კილომეტრზე ცდიდნენ ძალას. ბიჭები — 20-ზე, ქალები და გოგონები—10 კილომეტრზე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. როგორც წინა წლებში, ახლაც „კოლმეურნეს" სპორტსმენებმა გამოიჩინეს თავი — ოთხიდან 3 სტარტი მოიგეს. ვაჟებში პირველი იყო გ. რატიანი, ბიჭებში — ა. კრუპაბერია, გოგონებში — რ. შერვაშიძე. სოფლის სპორტსმენებმა მხოლოდ ქალებში დათმეს პირველობა. აქ ყველას აჯობა რ. ვასილენკოვამ („ბურევესტნიკი").

გუშინ ვაჟები და ბიჭები 15 კილომეტრზე ცდიდნენ ძალას, ხოლო გოგონები და ქალები 5 კილომეტრზე დარბოდნენ.

**(ტელეფონით ჩვენი სპეც. კორ.).**

## მრავალჭიდელთა რესპუბლიკური...

**ბაკურიანში** დამთავრდა რესპუბლიკური პირველობა მშთ კომპლექსის მრავალჭიდში გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" პრიზზე.

საწარმოთა ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის გამარჯვება მოიპოვა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სპორტკლუბ „ფოლადის" ნაკრებმა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ თბილისის ელმავალმშენებელი ქარხნის სპორტკლუბი „მეგობრობა" და ბათუმის ხისდამმუშავებელი კომბინატი.

სოფლის კოლექტივებს შორის უძლიერესი იყო ბოგდანოვკის კოლმეურნეობის ნაკრები, რომელმაც ბაკურიანის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის გუნდის ჩამოტოვებაც კი შეძლო.

ქალთა შორის პირად პირველობაში გამარჯვებულნი გამოვიდნენ: IV საფეხურის პირველ ასაკობრივ ჯგუფში — ე. გაბზინა (თბილისის სპორტკლუბი „ივერია"), IV საფეხურის მეორე ასაკობრივ ჯგუფში—ლ. სკოტარენკო („ფოლადი"), V საფეხურზე — კ. კეხბა („ფოლადი").

ვაჟებში ამავე თანმიმდევრობით ჩემპიონები გახდნენ: ბოგდანოვკელი პ. თოფუზიანი, ბაკურიანელი დ. დიაკონაშვილი და ბოგდანოვკელი ხ. ქარსლიანი.

ტურნირში გამარჯვებულნი მონაწილეობას მიიღებენ საკავშირო ასპარეზობაში.

**ო. თავართქილაძე.**

საქართველოს სპორტკომიტეტში

## ამოცანა - საპატიო

**ქუთაისის** „ტორპედოს" ფეხბურთელები ყოველთვის გამოირჩეოდნენ მაღალტექნიკური თამაშით, ინდივიდუალური ხელწერით და მათ არაერთხელ დაუმსახურებიათ მაყურებელთა თუ სპეციალისტთა მოწონება და აღიარება. ამ კოლექტივში აღზრდილი ტყავის ბურთის ბევრი შესანიშნავი ოსტატი იცავდა და დღესაც იცავს საქართველოს პირველი გუნდის — თბილისის „დინამოს" ღირსებას.

ამიტომაც არის, რომ ქუთაისელთა მონაწილეობა სსრ კავშირის თასის გათამაშებასა და მომავალ საკავშირო ჩემპიონატში ფართო სპორტული საზოგადოების ყურადღების უშუალო ობიექტი ხდება...

გუშინ საქართველოს სპორტკომიტეტში გამართულ შეხვედრაზე ქუთაისის „ტორპედოს" ფეხბურთელებთან გუნდის უფროსმა მწვრთნელმა **ა. ნორაკიძემ**, ფეხბურთელებმა ილაპარაკეს იმის შესახებ, თუ როგორ მოემზადნენ მომავალი სათასო მატჩებისთვის, ახალი ჩემპიონატისთვის. მათ აღნიშნეს, რომ განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო მათი 23-დღიანი შეკრება ლესელიძეში, სადაც ყველა პირობა ჰქონდათ შექმნილი ინტენსიური წვრთნისთვის. საფეხბურთო სტარტის წინ კოლექტივის ყველა წევრი ღრმად გრძნობს მაღალ პასუხისმგებლობას და ამოცანაც მეტად საპატიო აქვთ დასახული: თასის გათამაშების მომდევნო ეტაპზე გასვლა, ხოლო ჩემპიონატში — ყველაზე მაღალი ადგილებისთვის ბრძოლა. მათ აგრეთვე აღნიშნეს, რომ, სამწუხაროდ, გადაწყვეტილი არ არის ზოგიერთი საორგანიზაციო საკითხი, ფეხბურთელების ინვენტარითა და ფორმით აღჭურვის პრობლემა და სხვ.

საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ **დ. პერტენავამ** შეხვედრის მონაწილეთა ყურადღება მიაპყრო იმ გარემოებას, რომ რესპუბლიკის სპორტის მოყვარულები ყურადღებით ადევნებენ თვალს ქუთაისელთა გამოსვლებს და, ამიტომაც, ეს სახელოვანი კოლექტივი მოვალეა არ გააწბილოს მათი იმედები; ამავე დროს რწმენა გამოთქვა, რომ ქუთაისის ავტოქარხნის კოლექტივი, ქალაქის ხელმძღვანელობა ქმედით დახმარებას გაუწევს გუნდს მის წინაშე მდგარი პრობლემების გადაჭრის საქმეში.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ქუთაისის „ტორპედო", რომელიც დაეყრდნობა ფართო აქტივს, გამოცდილი და ახალგაზრდა ფეხბურთელების ენთუზიაზმსა და შემართებას, ახალ საფეხბურთო სეზონში მაყურებელს უჩვენებს გააზრებულ, მაღალტექნიკურ, შედეგიან ფეხბურთს და წარმატებით შეასრულებს დასახულ საპატიო ამოცანებს.

## ბოლო ტურის წინ

**როგორც** ცნობილია, ამ დღეებში კიევში დამთავრდა კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის II წრის შეხვედრები და გამოვლინდა ის 6 უძლიერესი გუნდი, რომლებიც საპრიზო ადგილებისთვის გააგრძელებენ ბრძოლას. ფინალურ ექვსეულში სხვებთან ერთად თბილისის დინამოელებმაც დაიმკვიდრეს ადგილი და ახლა დასკვნითი ტურისთვის ემზადებიან.

რა ამოცანები დგას გუნდის წინაშე ამ ეტაპზე? როგორია კოლექტივის საბრძოლო მზადყოფნა საპასუხისმგებლო შეხვედრების წინ? რა გვიჩვენა განვლილმა პაექრობამ?

სწორედ ამ და სხვა საკითხებზე იყო საუბარი საქართველოს სპორტკომიტეტში გამართულ შეხვედრაზე, რომელსაც ესწრებოდნენ რესპუბლიკის სპორტის ხელმძღვანელი მუშაკები, დინამოელი კალათბურთელები და მათი მწვრთნელები.

განვლილ შეხვედრებზე და დასკვნითი ტურისთვის გუნდის მზადებაზე ინფორმაცია გააკეთა გუნდის უფროსმა მწვრთნელმა **ლ. მოსეშვილმა.** როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, კოლექტივმა შეასრულა „პროგრამა-მინიმუმი" და 34 ქულით ფინალურ ექვსეულში გავიდა. გადამწყვეტი ტურისთვის, რომელიც 5 მარტიდან მოსკოვში გაიმართება, ქართველი კალათბურთელები გულდაგულ ემზადებიან. მათ ვარჯიშისა და დასვენების ყველა პირობა აქვთ შექმნილი და ჩემპიონატზე IV ადგილის დაკავებისთვის იბრძოლებენ. კარგ სპორტულ ფორმაში არიან კოლექტივის წამყვანი მოთამაშეები (გარდა გ. ბიჭიაშვილისა, რომელმაც ფეხის ტრავმა მიიღო და მოსკოვში ვერ გამოვა). ოპერაციის შემდეგ საგრძნობლად მომჯობინდა ზ. გრძელიძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ **დ. პერტენავამ** თავის გამოსვლაში რწმენა გამოთქვა, რომ დინამოელი კალათბურთელები ნაყოფიერად ჩაატარებენ მზადების ბოლო ეტაპს და წარმატებით იასპარეზებენ დასკვნით ტურში.

● მძლეოსნობა

## ახალი სიმაღლე — 219 სმ

**ამას** წინათ მოსკოვში გამართულ მძლეოსანთა ზამთრის საკავშირო ჩემპიონატში შესანიშნავად გამოვიდა თბილისის დინამოელი, საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის სპეციალიზებული სპორტული სკოლის აღზრდილი სპორტის ოსტატი **გ. სავჩენკო** (მწვრთნელი პ. კრასნოვი). **მან სიმაღლეზე ხტომაში 219 სანტიმეტრი დაძლია.** ეს საქართველოს ზამთრის ახალი მიღწევაა და ორი სანტიმეტრით აღემატება რომის ოლიმპიადის ჩემპიონის, სპორტის დამსახურებული ოსტატის რ. შავლაყაძის ოფიციალურ რესპუბლიკურ რეკორდს.

უფრო ადრე, საკავშირო თასის გათამაშებისას სავჩენკომ მოსკოვის მანეჟში 218 სმ სიმაღლე გადალახა. ეს მონაცემები იმაზე მეტყველებენ, რომ თბილისელი ოსტატი აღმავლობას განიცდის. უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი წლეულს რესპუბლიკის რეკორდს (სტადიონზე) ახალ სიმაღლეზე აიყვანს.

* * *

საქართველოს სპორტკომიტეტმა სავჩენკო ამ წარმატებისთვის სიგელითა და სამახსოვრო მედლით დააჯილდოვა, ხოლო მის მწვრთნელს, პ. კრასნოვს მადლობა გამოუცხადა.

# სპორტულ ბაზებს — მზრუნველი ხელი!

ამ რამდენიმე ხნის წინათ ზემდგომმა ორგანოებმა სათანადო დადგენილება მიიღეს ოლიმპიური ბაზების მზადების თაობაზე. მას შემდეგ მთელი რიგი სამუშაოები ჩატარდა ამ ობიექტებზე. პირველი გამოცდა ჩააბარა ბაკურიანმა — ჩვენი ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების წევრებს, სპორტის ზამთრის სახეობათა წარმომადგენლებს უმასპინძლა. სულ მალე ლესელიძის ბაზა „სპორტი" წლევანდელი სეზონისთვის მზადების ერთ-ერთ მთავარ „პოლიგონად" გადაიქცევა: მოსკოვის XXII ოლიმპიური თამაშების წინ აქ საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდები გაივლიან სასწავლო-საწვრთნელ შეკრებებს. გარდა ამისა, „სპორტი" უმასპინძლებს უმაღლესი და პირველი ლიგის საფეხბურთო კოლექტივებს, რესპუბლიკის გუნდებს სხვადასხვა სახეობაში.

ამ დღეებში გაიმართა საქართველოს კომპარტიის გაგრის საქალაქო კომიტეტის ბიუროს სხდომა, რომელმაც იმსჯელა „ოლიმპიური ნაკრები გუნდების მისაღებად ლესელიძის სასწავლო-სპორტული ბაზა „სპორტის" მზადყოფნის შესახებ". სხდომაზე აღინიშნა, რომ ზემდგომი ორგანოების დადგენილების შესაბამისად, „სპორტის" ხელმძღვანელობამ, პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩაატარეს კომპლექსის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განსამტკიცებლად. შეიცვალა მოძველებული ტექნიკური მოწყობილობა, შეძენილია აუცილებელი სპორტული ინვენტარი, მედიკობიოლოგიური მოწყობილობა. კაპიტალურად შეკეთდა ტრანსპორტი.

სხდომაზე საუბარი იყო იმ ნაკლოვანებებზეც, რაც ბაზის სარემონტო-სამშენებლო /სამუშაოებში შეინიშნება. ითქვა, რომ სპორტთამაშების დარბაზის ექსპლუატაციაში შესვლისთვის აუცილებელია საკომუნიკაციო მოწყობილობის დაყენება, ელექტროქსელის გაყვანა. როგორც სხდომაზე აღინიშნა, „საქსპორტრემშენმა" ყველა დარჩენილი სამუშაო მიმდინარე წლის 1 მარტამდე უნდა დაამთავროს. მძლეოსნური მანეჟის მშენებლობა ტრესტ „კაველექტროქსელმონტაჟს" გასული წლის ბოლოსთვის უნდა დაემთავრებინა, მაგრამ სამშენებლო მასალების უქონლობის გამო ამ ობიექტის ექსპლუატაციაში შესვლა დღემდე ჭიანურდება.

აღინიშნა, აგრეთვე, სხვადასხვა ორგანიზაციების მხრიდან ბაზის მომსახურებაში არსებული ნაკლოვანებები. შესაბამის ორგანიზაციებს დაევალათ: ჩაატარონ ქმედითი, ოპერატიული ღონისძიებები ბაზის კულტურული მომსახურების, საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირის გასაუმჯობესებლად, მეტი ყურადღება მიაქციონ სასწავლო-საწვრთნელი პროცესის მაღალ დონეზე ორგანიზაციისთვის აუცილებელი პირობების შექმნას, იდეურ და პოლიტიკურ-აღმზრდელობით მუშაობას.

# აქ ივარჯიშებენ ოლიმპიელები

* * *

აქ მუდამ სისუფთავე და წესრიგია. მოასფალტებული ბილიკის გასწვრივ ჩამწკრივებული ნაძვები მთავარი კორპუსის შესასვლელისკენ მიგაცილებენ. კედლებიდან გვიღიმიან გამოჩენილ სპორტსმენთა პორტრეტები. ბაზის დირექტორი ავთანდილ გასვიანი ხალისით საუბრობს კომპლექსზე, მის პერსპექტივებზე, დირექციის წინაშე მდგარ საპასუხისმგებლო ამოცანებზე. გვეუბნება, რომ ბაზის მესვეურებს, რესპუბლიკისა თუ ადგილობრივი ხელმძღვანელი მუშაკების ყურადღება და დახმარება არ აკლიათ, ოლიმპიური სეზონისთვის ბევრი რამ გაუკეთებიათ ახალი და სტუმრებთან თავს არ შეირცხვენენ. აგერ უკვე მერამდენე წელია მნიშვნელოვანი შეჯიბრებების წინ ლესელიძეში გადიან საწვრთნელ შეკრებას ჩვენი ქვეყნის. აგრეთვე, სოციალისტური ქვეყნების გუნდები, ცალკეული სპორტსმენები. ბაზის დირექციას არაერთხელ მიუღია მადლობის წერილები ფეხბურთელებისგან, მძლეოსნებისგან, ტანმოვარჯიშეებისგან...



სურათზე: ს. გუნბა.

ახლა ლესელიძეში გაზაფხულის სუნთქვა იგრძნობა და აქეთ უკვე მოაშურეს ფეხბურთელებმა. წიდიან სარბენ ბილიკებზე მძლეოსნები ვარჯიშობენ — ბადროსა და შუბის მტყორცნელები, ქვეყნის ოლიმპიური ნაკრები გუნდის კანდიდატები — სპეციალურ ფიზიკურ მომზადებას გადიან.

**საიდა გუნბასა და მის მწვრთნელს ილია გიგაურს** მოვკარი თვალი. ამისთანა შემთხვევას ხელიდან როგორ გავუშვებდი. დავინტერესდი, რა გეგმები აქვთ, როგორ პირობებში ემზადებიან.

—ლესელიძეში თებერვლის დასაწყისში ჩამოვედით, — ამბობს ი. გიგაური, — ვარჯიშისა და დასვენებისთვის უკეთეს პირობებს ვერც ინატრებს კაცი. ერთთავად ყურადღების ცენტრში ვართ. საიდას აქ ბევრი მეგობარი ჰყავს; მოდიან, ვარჯიშებს ესწრებიან, თავისუფალ დროს ერთად ატარებენ.

— ოლიმპიადამდე არც ისე ბევრი დრო დარჩა. რა გეგმები გაქვთ, რომელ შეჯიბრებებში გამოვა თქვენი აღსაზრდელი მოსკოვის სტარტამდე?

— საიდას კანადაში, მსოფლიოს თასის გათამაშების დროს მხრის სახსარი დაუზიანდა და ახლა ნელ-ნელა იშუშებს ტრავმას. მას შემდეგ შეჯიბრებაში ჯერ არ გამოსულა. ის კი არა, საერთოდ შუბს არ გაჰკარებია. ახლა მთავარ ყურადღებას საერთო და სპეციალურ ფიზიკურ მომზადებას ვუთმობთ. მზადების მთელი ციკლი ისეა დაგეგმილი, რომ საუკეთესო სპორტულ ფორმას ოლიმპიადაზე მიაღწიოს. ლესელიძეში თებერვლის ბოლომდე დავრჩებით. 14 მარტიდან საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრები (მტყორცნელები) ბულგარეთში გაემგზავრებიან, შემდეგ — იტალიას ესტუმრებიან. მაისში მტყორცნელები კვლავ ლესელიძეში შეიკრიბებიან. აქ გაიმართება ლესელიძის სახელობის საკავშირო ტურნირი. საიდა მონაწილეობას მიიღებს, აგრეთვე, „პრავდის" პრიზის საკავშირო გათამაშებაში, ძმები ზნამენსკების სახელობის ტურნირში. სწორედ ამ შეჯიბრებების შედეგების მიხედვით დაკომპლექტდება საბოლოოდ ქვეყნის ოლიმპიური ნაკრები გუნდი.

— მოსკოვში, ხალხთა სპარტაკიადაზე, საიდამ საკმაოდ კარგი შედეგი აჩვენა, მაგრამ ოლიმპიადაზე წარმატებისთვის, ალბათ, მეტი იქნება საჭირო...

— ის შედეგი, რაც სპარტაკიადაზე საიდამ აჩვენა (63,08 მ) მეექვსე იყო შარშანდელ სეზონში მსოფლიო მასშტაბით. რა თქმა უნდა, ოლიმპიადაზე გაცილებით მეტი კონკურენცია იქნება. ჩემი ფიქრით, საიდამ მოსკოვში 65 მეტრს უნდა გადააცილოს.

— ამაზე ნურაფერს იტყვით, — საუბარში ჩაერია [illegible] გუნბა, — [illegible] მხოლოდ ვეცდები, ისე კი, [illegible] რომ ასე იქნება, ვნახოთ...

— სპარტაკიადაზე თქვენ პირველივე ცდაზე შეასრულეთ „ოქროს" ტყორცნა...

— ვცდილობ თავიდანვე ხელთ ვიგდო ლიდერობა, მაგრამ თუ პირველი ტყორცნა არ გამომივიდა, ამას დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ. მთავარია, გჯეროდეს საკუთარი თავისა.

— ვის თვლით მთავარ მეტოქეებად?

— ბუნებრივია, ოლიმპიადაზე ჭეშმარიტად უძლიერესნი გამოვლენ: გერმანელი ფუქსი, რუმინელი რადული, უნგრელი ანდერსონი... ესენი აღიარებული ფავორიტები არიან, მათთან ასპარეზობა საინტერესოა.

საიდას მეტი არაფერი უთქვამს. მოიბოდიშა და თანაგუნდელთა ჯგუფს შეერია.

— სიტყვაძუნწი გოგონაა, მორიდებული, — საუბარს აგრძელებს ი. გიგაური, — მახსოვს, სპარტაკიადაზე ოქროს მედალი რომ მოიპოვა, გულშემატკივართა ალყაში აღმოჩნდა, — ეხვეოდნენ, ულოცავდნენ... არ იცოდა რა ექნა, როგორ მოქცეულიყო. საერთოდ, მინდა ვთქვა, რომ გულშემატკივართა ყურადღება არ გვაკლია, ვინ არ მოდის. გვეკითხებიან როგორ მიდის საქმეებიო. მინდა მადლობა გადავუხადო მათ. ბედნიერი ვიქნები, თუ საიდა ოლიმპიადაზეც გაამართლებს თაყვანისმცემელთა იმედებს.

...მშვენიერი ამინდია ლესელიძეში, ნამდვილი გაზაფხულის სუნთქვა იგრძნობა, ცოტაც და უფრო მომძლავრდება სპორტული ცხოვრების მაჯისცემა, მოსკოვის ოლიმპიური თამაშები ხომ კარსაა მომდგარი.

**ე. ბერიშვილი.**

**(ჩვენი სპეც. კორ.).**

ლესელიძე.

* * *

## ვინ შეხვდება მაია ჩიბურდანიძეს?

# პრეტენდენტის საგზურისათვის

**ქალთა** მსოფლიო პირველობის გათამაშების 1975-1978 წლების ციკლში ფიდე-მ გადაწყვიტა ორი საზონათშორისო ტურნირის ჩატარება და რვამდე გაზარდა პრეტენდენტთა რაოდენობა. დასკვნითი შეხვედრებში პერსონალურად ორი ადგილი დაუთმო წინა ციკლის პრეტენდენტთა ფინალური მატჩის მონაწილეებს და სამ-სამი — საზონათშორისო ტურნირებში გამარჯვებულებს. გაკეთდა ისე, როგორც ვაჟებს ჰქონდათ, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ პრეტენდენტთა მატჩებში ქალები ნაკლებ პარტიებს ითამაშებდნენ.

ახალ ციკლში ორი ქართველი მოჭადრაკე ჩაება: ნ. ალექსანდრია — პირდაპირ პრეტენდენტთა მატჩებში, 15 წლის მ. ჩიბურდანიძე კი — საზონათშორისო ტურნირში.

1976 წლის მიწურულს საზონათშორისო ტურნირებმა ერთდროულად აიღეს სტარტი როზენდალსა (ჰოლანდია) და თბილისში.

ჰოლანდიაში I-II ადგილები გაიყვეს ე. ახმილოვსკაიამ და ა. კუშნირმა. მაგრამ მესამე პრეტენდენტის გამოვლენას დამატებითი შეჯიბრება დასჭირდა III-IV ადგილების მფლობელებს ტ. ლემაჩკოსა (ბულგარეთი) და ა. ვან დერ მიიე-ნიკოლაუს (ჰოლანდია) შორის. საბოლოოდ, პრეტენდენტის საგზურს ბულგარელი დაეუფლა.

თბილისში ალმავლობით იბრძოდა ე. ფატალიბეკოვა და I ადგილიც დაიკავა. ტოლს არავის უდებდა მ. ჩიბურდანიძეც — ფინიშთან იგი ვ. კოზლოვსკაიასთან ერთად მივიდა.

სწორედ ამ პერიოდში ფიდე-მ შემოიღო ქალთა შორის საერთაშორისო დიდოსტატის წოდება და იგი, პირველ ყოვლისა, ნ. გაფრინდაშვილსა და პრეტენდენტებს მიანიჭა.

პრეტენდენტთა წილისყრამ მეოთხედფინალურ მატჩებში, რომლებიც 1977 წელს ჩატარდა, ერთმანეთს შეახვედრა ალექსანდრია — ჩიბურდანიძე, ახმილოვსკაია — ლემაჩკო, კუშნირი — ლევიტინა და ფატალიბეკოვა — კოზლოვსკაია. მატჩებში ათ-ათი პარტია უნდა გათამაშებულიყო.

საინტერესოდ მიმდინარეობდა ალექსანდრია — ჩიბურდანიძის ორთაბრძოლი. ჯერ მაია დაწინაურდა, მერე — ნანა. ანგარიში რომ გათანაბრდა, მაიამ მეცხრე პარტია მოიგო, მეათე ყაიმით დაამთავრა და მატჩშიც გაიმარჯვა — 5,5:4,5.

ახმილოვსკაია — ლემაჩკოს მატჩში, რომელიც სოფიაში გაიმართა, საჭირო შეიქნა დამატებითი პარტიების თამაში, რადგან ძირითადი შეხვედრა ყაიმით (5:5) დასრულდა. 21 წლის ახმილოვსკაიამ მიკრო-მატჩი მოიგო (1,5:0,5) და ნახევარფინალში გავიდა.

კუშნირ — ლევიტინას ორთაბრძოლა (დორტმუნდი) 9 პარტიაში დასრულდა, ფატალიბეკოვა — კოზლოვსკაიასი (სოჭი) — 8-ში. პირველი კუშნირმა მოიგო — 6:3, მეორე — ფატალიბეკოვამ — 6:2.

ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ახმილოვსკაია — ჩიბურდანიძე (ტალინში) და კუშნირი — ფატალიბეკოვა (დასავლეთ ბერლინში). ფატალიბეკოვა წარუმატებლად თამაშობდა და 10 პარტიაში დამარცხდა — 3,5:6,5. პირველ მატჩში მეტოქეებმა ყველა 12 პარტია ითამაშეს. აქაც თავიდან ჩიბურდანიძე დაწინაურდა, მერე ინიციატივას ახმილოვსკაია დაეუფლა. ბოლოს კი მაიამ ზედიზედ ორი შეხვედრა მოიგო და გაიმარჯვა — 6,5:5,5.

1978 წლის იანვარში ბად-კისინგენში პრეტენდენტთა ფინალური მატჩი კუშნირთან დაინიშნა. ჩიბურდანიძეს დიდი გამოცდა ელოდა. სათამაშო იყო 14 პარტია. სტარტზე მაია დაწინაურდა — 4:1, მაგრამ შემდეგ მეტოქის მძლავრი შეტევის მოგერიება მოუხდა. მართალია, საგრძნობლად შემცირდა სხვაობა ანგარიშში, მაგრამ ჩიბურდანიძემ უპირატესობა შეინარჩუნა და სძლია მრისხანე მეტოქეს — 7,5:6,5.

17 წლის მაია ჩიბურდანიძე ჭადრაკის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა პრეტენდენტი გახდა. ნ. გაფრინდაშვილთან მისი შეხვედრა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა. რადგან მსოფლიო ჩემპიონს მეტოქედ ისევ თანამემამულე ჰყავდა.

1978 წლის შემოდგომაზე ბიჭვინთაში ჩიბურდანიძემ მოიგო მატჩი გაფრინდაშვილთან (8,5:6,5) და მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

ახალი, 1978-1981 წლების ციკლი უკვე ნაცნობი ფორმულით ტარდება. შარშან გათამაშდა რიო-დე-ჟანეიროსა და ალიკანტეს საზონათშორისო ტურნირები, რომლებმაც დაასახელეს პრეტენდენტები: რიო-დე-ჟანეირომ — ნ. იოსელიანი, ჟ. ვერეცი, ნ. ალექსანდრია, ალიკანტემ — ე. ახმილოვსკაია, ტ. ლემაჩკო და ნ. გურიელი. მათ შეუერთდებიან გაფრინდაშვილი და კუშნირის მაგიერ (მან თამაშზე უარი განაცხადა) საზონათშორისო ტურნირებში მეოთხე ადგილების მფლობელებს მ. ლიტინსკაიასა (სსრ კავშირი) და გ. ფიშდიკს (გფრ) შორის მატჩში გამარჯვებული.

მეოთხედფინალურ მატჩებში წილისყრით ერთმანეთს შეხვდებიან: გაფრინდაშვილი — გურიელი, იოსელიანი — ვერეცი და ახმილოვსკაია — ალექსანდრია. ლემაჩკოს მეტოქე გაირკვევა ლიტინსკაია — ფიშდიკის მატჩში, რომლის სტარტი 20 მარტისთვის დაინიშნა ავსტრიაში.

1 მარტს ბრძოლას შეუდგებიან თბილისში გაფრინდაშვილი— გურიელი და კისლოვოდსკში — ახმილოვსკაია — ალექსანდრია. სხვა მატჩების დაწყების დრო და ადგილი მოგვიანებით გამოცხადდება.

კიდევ რამდენიმე დღე და ქალთა ჭადრაკის ისტორიაში ახალი ფურცელი გადაიშლება.

**თ. გიორგაძე.**

დასასრული. დასაწყისი იხ. „ლელო" №№ 34, 36, 39.

# თხილამურებით... ჭადრაკზე ფიქრში

## ინტერვიუ

**გამოგიტყდებით,** ასეთ შეხვედრას არ ველოდი: თხილამურების აღიარებული ოსტატების გვერდით... ცნობილი მოჭადრაკე ელენა ახმილოვსკაია.

სწორედ აქ, ბაკურიანში ორი კვირა იმყოფებოდნენ საერთაშორისო დიდოსტატი, 22 წლის ე. ახმილოვსკაია (იგი კრასნოიარსკის უნივერსიტეტში სწავლობს იურიდიული ფაკულტეტის IV კურსზე) და მისი მეუღლე—თბილისის „ლოკომოტივის" რეგბისტთა გუნდის (ისიც ბაკურიანში გადიოდა შეკრებას) და სსრ კავშირის ნაკრების წევრი, სპორტის ოსტატი, 24 წლის ვლადიმერ პეტუხოვი (თბილისის უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი).

...მათ კოხტაგორაზე შევხვდი.

— როგორ მოგწონთ ბაკურიანი? — ხელიდან არ გავუშვი ინტერვიუს შესაძლებლობა.

—ამ „თეთრ მარგალიტზე" ადრეც ბევრი კარგი მსმენია, მაგრამ ახლოს უკეთესი ყოფილა. ამდენი მზე, ამდენი თოვლი... მე რომ მკითხოთ, ზამთრის ოლიმპიადას აქ ჩავატარებდი. გაოცებული ვარ, რა თავბრუდამხვევი სისწრაფით ეშვებიან კოხტიდან სულ პატარა, 5-6 წლის გოგო-ბიჭები. რაც შეეხება უფროსებს, აქ ჩვენზე ყველა ზრუნავს. რისთვისაც მინდა გულწრფელი მადლობა გადავუხადო.

კოხტაგორაზე მოულოდნელი ინტერვიუ ასევე მოულოდნელად შეწყდა (სლალომისტების გადამწყვეტი სტარტები იწყებოდა), რათა საღამოს გაგრძელებულიყო სპორტკომიტეტის სათხილამურო ბაზაში.

...მეუღლენი ჭადრაკის დაფას მისხდომოდნენ, საჭადრაკო საათიც ჩაერთოთ, აქა-იქ საჭადრაკო წიგნებსაც მოვკარი თვალი.

— ბევრს თამაშობთ?

— საკმაოდ ბევრს!

— რა ანგარიშია თქვენს „საოჯახო" მატჩში?

— ო, ეს პატარა საიდუმლოებაა და გვინდა ჩვენს შინაურ საქმედ დარჩეს! — იღიმება ახმილოვსკაია.

— არა, უბრალოდ, ლენა მზოგავს! — გამოგვიტყდა მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტის სპარინგ-პარტნიორი, რომელსაც ოსტატობის კანდიდატის წოდება აქვს ჭადრაკში.

— ვოვა ძალიან მეხმარება არა მარტო ჭადრაკის დაფასთან, საერთო ფიზიკურ მომზადებაშიც. ყოველ დილას, დაჭურვის შემდეგ, ფეხით ავდივართ 70-მეტრიან ტრამპლინზე... მგონი 200 საფეხური უნდა იყოს... რამდენჯერ დავთვალე...

— როგორია თქვენი სათხილამურო წარმატებები, ლენა?

— უკვე აღარ ვეცემი პარკის გორაკიდან დაშვებისას. თუ გავითვალისწინებთ, რომ საერთოდ პირველად ვდგავარ თხილამურებზე...

— ჭადრაკის გარდა კიდევ სპორტის რომელი სახეობა გიტაცებთ?

— ძალიან მიყვარს ჩოგბურთი, მომწონს ბურთიანი ჰოკეი, ჭიდაობა, რომელიც თქვენი თანამემამულის — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის დიმიტრი მინდიაშვილის წყალობით ესოდენ პოპულარულია ჩემს მშობლიურ კრასნოიარსკში.

— როგორ შედგა თქვენი ნაცნობობა სპორტთან?

— ალბათ გაგიკვირდებათ, მაგრამ ყველაზე მეტად ჭადრაკი... მძულდა. დედაჩემი მწვრთნელია ჭადრაკში, კრასნოიარსკის ჩემპიონიც იყო და რუსეთის ფედერაციის პირველობაშიც მონაწილეობდა. ძალით მათამაშებდა ჭადრაკს და, როგორც ხედავთ, საწადელს მიაღწია.

მაინც ვერ მოვითმინე: — 1 მარტს კისლოვოდსკში თქვენი და ნანა ალექსანდრიას მეოთხედფინალური მატჩი იწყება. რამდენჯერ შეხვედრიხართ ნანას?

— სულ სამჯერ. 2 პარტია ყაიმით დავამთავრეთ, ერთი კი მე მოვიგე. თუმცა ამას დღეს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს!

— წარმატებას გისურვებთ ორივეს — ნანა ალექსანდრიას, და თქვენ, საქართველოს რძალს.

— იქნებ ისევ თხილამურებზე ვილაპარაკოთ...

**ო. ნოზაძე.**

ბაკურიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ფარიკაობა

# გამარჯვების წლისთავს მიეძღვნა

**ბათუმში** ჩატარდა საქართველოს პირად-გუნდური პირველობა ფარიკაობაში იუნიორთა შორის. აღნიშნული ღონისძიება ეძღვნებოდა დიდ სამამულო ომში ფაშიზმზე გამარჯვების 35-ე წლისთავს.

ლამაზად მორთულ ბათუმის განათლების განყოფილების ბავშვთა სპორტული სკოლის დარბაზში შეჯიბრება გახსნა აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ ზ. მამუჭაძემ. მონაწილე ახალგაზრდობამ და დარბაზში მყოფმა მაყურებელმა წუთიერი დუმილით პატივი სცეს სამამულო ომში დაღუპულ ვაჟკაცთა ხსოვნას. გახსნის ცერემონიალის, დროშის აწევისა და საბჭოთა საქართველოს ჰიმნის შესრულების შემდეგ იუნიორების 10 და ქალიშვილების 9 გუნდის 158 სპორტსმენი ჩაება ასპარეზობაში.

საერთო ტექნიკური მომზადების დონე დამაკმაყოფილებელი იყო. კარგად იასპარეზეს ქუთაისის, აჭარის, რუსთავის გუნდებმა, ყველაზე უკეთ გამოვიდა თბილისის ნაკრები, რომელმაც საგრძნობლად გაუსწრო დანარჩენ მეტოქეებს. ეს იმის ნიშანია, რომ პერიფერიებში ფარიკაობის განვითარების საქმე ჯერ კიდევ სათანადო სიმაღლეზე არ დგას.

**ტექნიკური შედეგები:**

**საერთო გუნდური:** I — თბილისი (207 ქულა), II—ქუთაისი (89), III — აჭარა (66).

**რაპირა** (ქალიშვილები): I. ნ. ტალახაძე (ქუთაისი), II. მ. დარასელია, III. ე. მარსაგიშვილი (ორივე — თბილისი).

**რაპირა** (იუნიორები): I. ვ. გოქაძე, II. ზ. აფციაური, III. რ. ხუციშვილი (სამივე — თბილისი).

**ხმალი:** I. კ. ქუთათელაძე, II. პ. პაიჭაძე, III. ზ. განგიძე (სამივე — თბილისი).

**დაშნა:** I. გ. ჯილაური, II. ი. ქიზიყურაშვილი (ორივე — თბილისი), III. გ. დარბაიძე (ჭიათურა).

**ო. დიდებულიძე,**
**შეჯიბრების მთავარი მსაჯი, საკავშირო კატეგორიის არბიტრი.**



# ოქროს მედლებით დაბრუნდნენ

● თავისუფალი ჭიდაობა

**მოსკოვის** XXII ოლიმპიური თამაშების სამზადისს მიეძღვნა საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში, რომელიც ულან-ბატორში (მონღოლეთი) გაიმართა. მასპინძლებთან ერთად ასპარეზობდნენ მოძმე სოციალისტური ქვეყნების სპორტსმენები კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკიდან, ბულგარეთიდან, პოლონეთიდან, კუბიდან, სსრ კავშირიდან.

ჩინებულად იჭიდავეს ქართველმა ფალავნებმა **გ. ქენქაძემ** (62 კგ), **ო. ყაჭაშვილმა** (74) და **მ. მერმანიშვილმა** (100), რომლებმაც I ადგილები დაიკავეს. მათ გარდა ულან-ბატორის ხალიჩაზე ოქროს მედლები მოიპოვეს სხვა საბჭოთა ფალავნებმაც: **ა. პიჩუგინმა** (82), **ა. მუხიენკომ** (90) და **ვ. გოლოპიატინმა** (მძიმე წონა). საბჭოთა ნაკრებმა გუნდური პირველი ადგილი დაიკავა.

გ. ქენქაძისა და მ. მერმანიშვილის აღმზრდელმა საქართველოს სსრ დამსახურებულმა მწვრთნელმა **ნ. გაჩეჩილაძემ** გვითხრა: „სულ მალე ო. ყაჭაშვილი დასავლეთ გერმანიაში საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრება, გ. ქენქაძე მიწვეულია სირიის საერთაშორისო შეჯიბრებაში, ხოლო მ. მერმანიშვილი 16 მარტიდან ბულგარეთის დიდ საერთაშორისო ტურნირში ჩაებმება. ამის შემდეგ საბჭოთა კავშირის ოლიმპიური ნაკრების ზემოაღნიშნული სამივე კანდიდატი ქვეყნის სხვა უძლიერეს მოჭიდავეებთან ერთად კისლოვოდსკში საწვრთნელ შეკრებას გაივლის.

თუ ვინ მოიპოვებს უფლებას საბჭოთა კავშირის ნაკრების სპორტული ღირსება დაიცვას მოსკოვის ოლიმპიადაზე, ამას გვიჩვენებს სსრ კავშირის პირადი ჩემპიონატი, რომელიც მაისში მოსკოვში გაიმართება.

**შ. ქორიძე.**

* * *

**სურათზე:** მარცხნიდან — გ. ქენქაძე, ო. ყაჭაშვილი, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი ნ. გაჩეჩილაძე და მ. მერმანიშვილი.

ე. ნადარეიშვილის ფოტო.



# ჭაბუკი ფალავნები

● კლასიკური ჭიდაობა

**თბილისში,** ფალავანთა კლუბის საჭიდაო დარბაზში ოთხ დღეს მიმდინარეობდა საქართველოს პირად-გუნდური პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში 1963-65 წლებში დაბადებულ ჭაბუკებს შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობდა რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების 250-ზე მეტი ფალავანი.

გუნდურ ჩათვლაში ყველას თბილისელმა მოჭიდავეებმა აჯობეს. პირად ჩათვლაში ჩემპიონები გახდნენ: ო. კარალკოვი (თბილისი), ე. მეხუზლო (მახარაძე), ზ. აპალაკი (თბილისი), გ. ბიწაძე (ჭიათურა), ზ. მეტრეველი (რუსთავი), ს. ერაძე, ბ. ჯიქია, ზ. ტყავაძე, თ. ნაჭყებია (ყველა — თბილისი), ვ. შპეტიშვილი (გარდაბანი), ვ. ბოკოველი (ქუთაისი), კ. მაზმიშვილი (თბილისი).

**ა. კოტორაშვილი.**

* * *

**სურათზე:** ორთაბრძოლის მომენტი.

ავტორის ფოტო.

● ფეხბურთი







ენერგიულად ემზადება ახალი, 1980 წლის სპორტული სეზონისთვის ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის „დინამოს" სტადიონის კოლექტივი. მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები, ხდება მოძველებულის განახლება, რომ აქ მოსულ მაყურებელს ყველაფერი დახვდეს მოწესრიგებული, ფაქიზად მოვლილი და გამზადებული. ამ მიზნის პირნათლად შესასრულებლად გულმოდგინედ მუშაობს სტადიონის მთელი კოლექტივი.

* * *

**სურათებზე:** სარემონტო სამუშაოები თბილისის „დინამოს" სტადიონზე.

კ. შანიძის ფოტოები.

# სტატისტიკა, სტატისტიკა...

მოგვყავს ჩვენი გუნდების ზოგიერთი სტატისტიკური მონაცემი სსრ კავშირის საფეხბურთო თასის გათამაშებაში:

„დინამო" (თბილისი)

⊙ თბილისელთა მესამე მატჩი თასის 39-ე გათამაშებაში რიგით 150-ე იქნება მის ისტორიაში.

⊙ თასის ყველა გათამაშებაში ჩვენი გუნდიდან ყველაზე შედეგიანი იყო ბ. პაიჭაძე — 21 გოლი.

⊙ დღევანდელი შემადგენლობიდან ყველაზე შედეგიანია დ. ყიფიანი — 12 ბურთი, მეორე ადგილზეა ვ. გუცაევი — 7.

⊙ დინამოელთა კაპიტანი მ. მაჩაიძე ყველაზე „სტაჟიანი" სათასო მოთამაშეა დღევანდელ „დინამოში": მას ჩატარებული აქვს 49 მატჩი. მომდევნო ადგილზე აქაც ვ. გუცაევია — 35.

⊙ ერთ სათასო მატჩში ყველაზე მეტი ბურთი გატანილი აქვს ზ. კალოევს — 4. ეს მან გააკეთა ლენინაკანის „შირაკთან" შეხვედრაში.

⊙ ორჯერ შეასრულა „ჰეთ-თრიკი" გ. ნოდიამ. დღევანდელი შემადგენლობიდან თასის მატჩებში „ჰეთ-თრიკი" ეკუთვნით დ. ყიფიანს და რ. შენგელიას.

**ფ. ფარცვანია,**
**გალის „მზიურის" ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის მუშა.**

„ტორპედო" (ქუთაისი)

**ქუთაისის** ტორპედოელები წლეულს მეთვრამეტედ მიიღებენ მონაწილეობას სსრ კავშირის თასის გათამაშებაში. სულ მათს ანგარიშზეა 29 მატჩი. აქედან გუნდმა მოიგო 8, ფრედ დაამთავრა 2 და წააგო 19.

მოგვყავს ტორპედოელთა ყველა სათასო მატჩის ტექნიკური შედეგები: **1962 წელს** თბილისის „დინამოსთან" — 3:4, **1963 წელს** ხაბაროვსკის არმიელებთან — 1:2, **1964 წელს** სევასტოპოლის სკფ-თან — 0:1, **1966 წელს** ლენინგრადის „დინამოსთან" — 0:1, **1967 წელს** მოსკოვის „ლოკომოტივთან" — 0:4, **1968 წელს** ლუგანსკის „ზარიასთან" — 1:3, **1969 წელს** ნიკოლაევის „სუდოსტროიტელთან" — 1:2, **1970 წელს** მოსკოვის „ლოკომოტივთან" — 3:0 და 2:1, თბილისის „დინამოსთან" — 1:1 და 0:0, **1971 წელს** ცსკა-სთან — 0:1 და 1:2, **1972 წელს** მოსკოვის „ტორპედოსთან" — 0:1 და 1:2, **1973 წელს** ცსკა-სთან — 0:3 და 1:2, **1974 წელს** იაროსლავლის „შინიკთან" — 2:1 და 0:1, **1975 წელს** ბაქოს „ნეფთჩისთან" — 0:1, **1976 წელს** ცსკასთან — 0:1, **1977 წელს** ხარკოვის „მეტალისტთან" — 0:1, **1978 წელს** სვერდლოვსკის „ურალმაშთან" — 2:0 და 0:2 (წააგეს 11-მეტრიანებით), **1979 წელს** როსტოვის არმიელებთან — 3:1, ლენინგრადის „დინამოსთან" — 1:0, სვერდლოვსკის „ურალმაშთან" — 1:0, ვოროშილოვგრადის „ზარიასთან" — 2:1, თბილისის „დინამოსთან" — 0:3.

**ი. კაციტაძე.**
ქუთაისი.

# კიდევ ვინ მოდის ფეხბურთზე? იუმორესკა

**შაბათს** ყველაფერი ისე დაიწყო, როგორც ეს დიდი ფეხბურთის დღეს შეეფერება. ნაშუადღევს ხალხი ნიაღვარივით დაიძრა სტადიონისაკენ.

ჩვენს სკოლაში შესაძლებლობის მაქსიმუმი გავაკეთეთ, რათა რაც შეიძლება მეტი გულშემატკივარი წასულიყო მატჩზე. ძალიან გაგვიჭირდა მეორე ცვლაში დაკავებულთ. მე და ჩემმა მეგობრებმა რის ვაივაგლახით გადავანაცვლეთ გაკვეთილები და მხრები გასაფრენად აწყობილი გვქონდა, რომ სწორედ ამ დროს (ბედი არ გინდა?) სკოლაში გამოცხადდა განათლების სამმართველოს ახალი ინსპექტორი. მას არავინ იცნობდა — ეტყობა, ამ სისტემაში ახალი კაცია. კოვზი ნაცარში ჩაგვივარდა. რომელი ცხრათავიანი გაბედავს ასეთ სიტუაციაში ფეხი მოიცვალოს სამსახურიდან?

ყველა და ყველაფერი ფეხზე დადგა. გაძლიერდა მითქმა-მოთქმა, საგონებელში ჩავვარდით. არავინ იცოდა ინსპექტორის ხასიათი, განზარხვა და არც ვიზიტის მიზეზი.

ინსპექტორი არითმეტიკის გაკვეთილს დაესწრო და ყველასათვის მოულოდნელად შემაძრწუნებელი რამ აღმოაჩინა, — ორივე გაკვეთილზე ერთიდაიგივე მოწაფე, ეტყობა მათემატიკის ვუნდერკინდი, გამოიძახეს დაფასთან. მასწავლებელი უილაჯოდ ცდილობს თავის გამართლებას:

— სულგრძელად მაპატიეთ, მასწავლებელი ფეხბურთზე წავიდა, ამიტომ მის ნაცვლად გაკვეთილი მე ჩავატარე. ძალიან შემევედრა და ხათრი ვერ გავუტეხე. ისეთი კეთილი ახალგაზრდაა...

— უყურე. შენ! — რისხვით წამოიძახა მოვლინებულმა. — დამრიგებელი მომგვარეთ!

როცა ხმობილი გამოჩნდა, მან ბრაზმორეული ხმით განაგრძო:

— შეგიძლიათ ამიხსნათ რა ხდება თქვენს კლასში?

— მე, მე... —დამრიგებელმა ცოტა ხნით დამტოვა აქ, თვითონ კი...

— გასაგებია, გასაგებია! — შეაწყვეტინა ღვარძლიანად სტუმარმა. — დაუძახეთ სასწავლო ნაწილის გამგეს.

დაუხანებლად მოვიდა მთლად ალანძული დირექტორის მოადგილე.

— მიბრძანეთ ერთი, რა ხდება დღეს თქვენს სასწავლებელში?

— გაკვეთილები ტარდება...

— ტარდება? — უზოდიშოდ შეაწყვეტინა ინსპექტორმა. — აი როგორ ტარდება, ჩემო კარგო...

ჩია გამგე უაღრესად შეწუხებულია. მერე ენის ბორძიკით იძლევა განმარტებას.

— ბოდიში, ჩემო ბატონო, სასწავლო ნაწილის გამგე მატჩს ესწრება. მაპატიეთ, მე მას ვცვლი მარტო დღეს, ალბათ პირველად და უკანასკნელად.

— აი თურმე რაში ყოფილა საქმე! სასწრაფოდ დირექტორს უხმეთ. სად არის-მეთქი დირექტორი — აბობქრდა ინსპექტორი.

ყველაზე გულმაგრებიც კი შიშის კანკალმა აგვიტანა. ახლა ატყდება ერთი დავიდარაბა. რა ხათაბალაში გავეხვიეთ, ეშმაკმა დალახვროს!

შემოვიდა ახოვანი მამაკაცი. იგი შემკრთალი სახით უსმენს გულმოსულ სტუმარს.

— ამხანაგო! რა უწესრიგობაა აქ? თქვენს სკოლას პატრონი არა ჰყავს?

დირექტორი შემცბარი და გაოგნებულია. დარცხვენით შეჰყურებს გააფთრებულ ინსპექტორს, მერე ხელებს ასავსავებს და ჩავარდნილი ხმით პასუხობს:

— დირექტორი სტადიონზე წაბრძანდა. მე მხოლოდ მის მოვალეობას ვასრულებ. სულ დიდი ორი-სამი საათით. ამიტომ...

ავისმაუწყებელი დუმილი ჩამოწვა. დაძაბული ველოდებით ვულკანის ამოფრქვევას. მოსალოდნელი უსიამოვნებისაგან ყველას სუნთქვა გვეკვრის. მაგრამ... მრისხანე სტუმარი უცებ დაცხრა. მან ყურებამდე გაიცინა და საკმაოდ მხიარულად თქვა:

— ღმერთს მადლობა შესწირეთ, რომ ნამდვილი ინსპექტორი სტადიონზეა და მე მას ვცვლი. კარგად ბრძანდებოდეთ!

მერე მოგვიბრუნდა:

— კიდევ ვინ მოდის ფეხბურთზე? მანქანითა ვარ. მეორე ტაიმს აუცილებლად მივუსწრებთ. გთხოვთ!

**გ. მათითაშვილი.**

● ფეხბურთი

## სსრ კავშირის თასზე

დაიწყო სსრ კავშირის 1980 წლის თასის გათამაშება ფეხბურთში. სამარყანდში გაიმართა II ზონის გუნდების შეხვედრები: „შახტიორი“ (დონეცკი) — „ტავრია“ (სიმფეროპოლი) 3:2, „ჩერნომორეცი“ (ოდესა) — „სპარტაკი“ (ნალჩიკი) 0:0, „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) — „კუზბასი“ (კემეროვო) 3:2.

## თამაშობს „ნანტი“

მოსკოვის „დინამოს“ ფეხბურთელთა მეტოქემ ევროპის თასების მფლობელთა თასის მეოთხედფინალში — საფრანგეთის „ნანტმა“ თავის მინდორზე ეროვნული ჩემპიონატის მატჩი მოუგო „სენტ-ეტიენს“ — 2:0.

26 ტურის შემდეგ „ნანტს“ 37 ქულა აქვს და III ადგილზე იმყოფება.

● ხელბურთი

## ისევ მოგება

ჩელიაბინსკში გრძელდება ხელბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეოთხე ტურის შეხვედრები. ლიდერმა ცსკა-მ მორიგი გამარჯვება მოიპოვა — დაამარცხა ზაპოროჟიეს ინდუსტრიული ინსტიტუტის გუნდი — 33:18, მაი-მ მოუგო ლვოველ არმიელებს — 29:22, კაუნასის „გრანიტასმა“ წააგო მინსკის ასკ-სთან — 24:27.

მორიგი გამარჯვება მოიპოვა თბილისის „ბურევესტნიკმა“ — ამჯერად სძლია კიევის ასკ-ს — 28:24. დანარჩენი ორი შეხვედრა ასე დამთავრდა: „კუნცევო“ (მოსკოვი) — ფისკ (კრასნოდარი) — 27:29, „პოლიოტი“ (ჩელიაბინსკი) — „კრისტალი“ (ტაშკენტი) — 22:21.

● ფარიკაობა

## „ტალინური ხმალი“

დამთავრდა დაშნით მოფარიკავეთა საერთაშორისო ტურნირი „ტალინური ხმალი“. საბჭოთა კავშირის ნაკრებმა გაიმეორა შარშანდელი წარმატება — მოიგო გუნდური პირველი ადგილი. ფინალში ქვეყნის ნაკრებმა (ა. აბუშახმეტოვი, ლ. დუნაევი, ა. კარაგიანი, ბ. ლუკომსკი, ა. მოჟაევი) ანგარიშით 8:5 დაამარცხა უნგრელი სპორტსმენები. III ადგილზე გამოვიდა ესტონეთის ნაკრები.

ტექნიკუმების XIV რესპუბლიკური...

# მხოლოდ ქულა დაკარგა

**დაიწყო საქართველოს ტექნიკუმების სპარტაკიადა, რომელიც ვ. ი. ლენინის დაბადების 110 წლისთავს ეძღვნება.** რესპუბლიკის საშუალო ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა ამ მორიგ, XIV კომპლექსურ შეჯიბრებაში სტარტზე პირველნი გამოვიდნენ ტყვიის მსროლელები. საქართველოს დოსააფის ცენტრალური კომიტეტის სპორტ-ტექნიკური კლუბის ცეცხლის ხაზზე 23 კოლექტივი შეგროვდა. ეს რიცხვი უფრო მეტი იქნებოდა, რომ თავიანთი წარმომადგენლები გამოეგზავნათ ფოთის ჰიდრომელიორაციის, ბათუმის ინდუსტრიული, ლანჩხუთის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმებს.

ყველაზე კარგად იასპარეზეს თბილისის ინდუსტრიული ტექნიკუმის სპორტსმენებმა, რომლებმაც გუნდური გამარჯვება მოიპოვეს. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ თბილისის მანქანათმშენებლობისა და პოლიტექნიკუმის კოლექტივები. ამ გუნდების წარმომადგენლებმა დამაკმაყოფილებელ მაჩვენებლებს მიაღწიეს, რასაც ვერ ვიტყვით თბილისის სამრეწველო-ეკონომიური, ქარელის ეკონომიური და საგარეჯოს პოლიტექნიკური ტექნიკუმების გუნდების მომზადებაზე.

პირად პირველობაში გოგონათა შორის იმარჯვა ნ. ქორიძემ (ინდუსტრიული ტექნიკუმი). მან მცირეკალიბრიანი შაშხანის წოლელა 10 გასროლაში მხოლოდ ქულა დაკარგა და 99 ქულით მოიგო პირველობა. II ადგილზე გავიდა ზ. ხარჩენკო (სოხუმის ინდუსტრიული ტექნიკუმი) — 93. მას ქულით ჩამორჩა ე. სანგალოვა (თბილისის რადიო ელექტრომექანიკური ტექნიკუმი).

ვაჟთა შორის გ. ჩიქვილაძემ (პოლიტექნიკური ტექნიკუმი), გ. შარიფაშვილმა (ინდუსტრიული ტექნიკუმი) და გ. გუდაშვილმა (თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმი) ერთნაირი შედეგები (93-93) მოიპოვეს და ადგილები ამ თანმიმდევრობით გაინაწილეს.

**ლ. ძებნიაური,**
**შეჯიბრების მსაჯი, ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი.**

## იზარდე, მწვანე ჯეჯილო!



პირველი დარტყმა. კ. შანიძის ფოტო.

# ზეპ მაიერი: „ყველას ყველაფრისთვის დიდი მადლობა“

1979 წლის 14 ივლისს, მძიმე ავტოკატასტროფის შემდეგ, მიუნხენის ცენტრალურ კლინიკაში მიიყვანეს გფრ-ისა და მსოფლიოს უკანასკნელი წლების ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე, 35 წლის ზეპ მაიერი.

**ანკეტური მონაცემები:** დაიბადა 1944 წლის 28 თებერვალს ქ. მეტენში, სიმაღლე—183 სმ, წონა—77 კგ, კათოლიკი, ჰობი— ჩოგბურთი, ოჯახის პატრონი.

საავადმყოფოში მაიერმა ოთხ თვეზე მეტი დაჰყო, შემდეგ შეუდგა ვარჯიშს, მაგრამ: „ექიმებმა მირჩიეს თავი დამენებებინა დიდი დატვირთვებისთვის და, საერთოდ, ფეხბურთისთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში ისედაც შერყეული ჯანმრთელობა კიდევ უფრო გამიუარესდებოდა. ექვსი გატეხილი ნეკნი, მკერდის არეში ღრმა ჭრილობა, ორ ადგილას მოტეხილი ხელი, ფილტვამდე მისული ღვიძლი...“

მიუნხენის „ბაიერნში“ ზ. მაიერი პირველად 1965 წელს გამოჩნდა, მაშინ იგი 21 წლისა იყო. აქედან მოყოლებული, ამ კლუბის შემადგენლობაში 473 მატჩი ჩაატარა, 442 თამაშში კი ზედიზედ გამოდიოდა. ნაკრების შემადგენლობაში ჩატარებული ოფიციალური მატჩების მიხედვით მაიერი მეკარეთა შორის რეკორდსმენია— 95-ჯერ დაიცვა ქვეყნის ნაკრების კარი.

„ბაიერნთან“ ერთად ოთხჯერ მოიპოვა ევროპის თასები, ოთხჯერ იყო გფრ-ის ჩემპიონი და ამდენივეჯერ — თასის მფლობელი, 1972 წელს მოიპოვა ევროპის ჩემპიონობა გფრ-ის ნაკრების შემადგენლობაში, ხოლო 1976 წელს მასთან ერთად მსოფლიო ჩემპიონი გახდა. აი, ზეპ მაიერის წარმატებათა ნუსხა, რომელზეც ბევრი მეკარე ალბათ, ვერც კი იოცნებებდა.

„ჩემთვის ორი აზრი არ არსებობს, — ამბობს გფრ-ის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ჰელმუტ შიონი, — რომ ზეპ მაიერი მსოფლიოსა და გფრ-ის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარეა. მეკარეთა შორის სხვადასხვა ტიპები არსებობენ — ზოგი საჯარიმო მოედნის სრული ბატონ-პატრონია, ზოგს საუკეთესო რეაქცია გააჩნია კარის ხაზზე, ზოგიც გამბედავია და უშიშარი. მაიერი კი იმ ტიპის მეკარეა, რომელიც სამივე ამ კომპონენტს აერთიანებს და, თუკი ოდესმე საუბარი ჩამოვარდება მსოფლიოს საუკეთესო მეკარეებზე, არა მგონია, ვინმეს გამორჩეს მხედველობიდან ზეპ მაიერი“.

„იგი ნამდვილად ბედნიერ ვარსკვლავზეა დაბადებული, უკეთესს ვერც კი ინატრებდა ფეხბურთელი და, მით უმეტეს,—მეკარე“,—განაცხადა წარსულში ცნობილმა გერმანელმა თავდამსხმელმა უვე ზეელერმა.

გამოჯანმრთელების შემდეგ მაიერი ვარჯიშს შეუდგა, მაგრამ საქმე ერთობ ნელა მიიწევდა წინ, სწორედ მაშინ წარმოიშვა მოსაზრება დაესრულებინა მას თავისი სპორტული კარიერა. შიონმა სწორად შენიშნა: „უმჯობესია თავი დაანებო ფეხბურთს, უმჯობესია მაყურებლებმა კარგად დაგიმახსოვრონ, ვიდრე დაიწყო თამაში, არ გამოგივიდეს და შემდეგ, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე, არავინ დაგინდობს, სტვენით გაგაცილებენ“.

და მაიერმა ისმინა თავისი მწვრთნელის სიტყვები.

— დღეს მხოლოდ ოჯახური იდილიით ვიქცევ თავს. მართალი გითხრათ, ძალიან მინდოდა ევროპის წლევანდელ ჩემპიონატში კვლავ დამეცვა ნაკრების ღირსება, — განაცხადა „კიკერის“ მიერ მოწყობილ ერთ-ერთ პრეს-კონფერენციაზე მაიერმა. — უახლოეს მომავალში გაიმართება ჩემი გამოსათხოვარი მატჩი, როდესაც კიდევ ერთხელ დავიცავ ნაკრებისა და „ბაიერნის“ კარს. ხშირად მომმართავენ შეკითხვებით მომავალი გეგმების შესახებ, ვინ გახდება ევროპის წლევანდელი ჩემპიონი, ვინ არის 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფავორიტი. თუ ვინ გახდება წლევანდელი ევროპის ჩემპიონი, ამაზე მოგახსენებთ, რომ გამარჯვების კარგი შანსები აქვთ მასპინძლებს, ჰოლანდიელებს, ინგლისელებს და გფრ-ის ნაკრებს. რაც შეეხება 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატს, გეტყვით მოკლედ: ჩემპიონი გახდება ევროპის რომელიმე გუნდი. მხედველობაში მყავს გფრ-ის, ჰოლანდიის, ინგლისის გუნდები.

**მ. რადიანი.**

## «სპორტლოტო»

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტლოტოს“ მეშვიდე ტირაჟების შედეგები.

**„სპორტლოტო 6—49“-დან:**

**პირველი:** ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო. ექვსი ციფრის (შეღავათიანი ბურთულით) გამოცნობისთვის (1 ბარათი) მოგება 4640 მანეთია, ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (16 ბარათი) — 3640 მანეთია, ხუთისთვის (შეღავათიანი ბურთულით, 51 ბარათი) —88, ოთხისთვის (1077 ბარათი) — 63, სამისთვის (25730) — 3.

**მეორე:** ექვსი და ექვსი (შეღავათიანი ბურთულით) ციფრი ვერავინ გამოიცნო, ხუთის გამოცნობისთვის (10 ბარათი) მოგება 3074 მანეთია, ხუთისთვის (შეღავათიანი ბურთულით, 26 ბარათი) — 84, ოთხისთვის (498 ბარათი) — 59, სამისთვის (10296 ბარათი) — 4.

**„სპორტლოტო 5—36“-დან:**

**პირველი:** ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (1 ბარათი) მოგება 10000 მანეთია, ოთხისთვის (741 ბარათი) — 254, სამისთვის (27796 ბარათი) — 7.

**მეორე:** ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (3 ბარათი) მოგება 10000 მანეთია, ოთხისთვის (881 ბარათი) — 197, სამისთვის (26954) — 7. (საკდესი).

რედაქტორი ა. ბასილაია.

● წყალბურთი

**დღეს** საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტკომბინატის ზამთრის საცურაო აუზში სტარტს აიღებს სსრ კავშირის წყალბურთელთა ჩემპიონატის მეორე ტურის მეორე წრის შეხვედრები.

გთავაზობთ შეჯიბრების კალენდარს:

**27 თებერვალი.** სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტკლუბი (სსფ ცსკ) — „დინამო“ (კიევი), კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილია (კწფ, ბაქო), — „სპარტაკი“ (ვოლგოგრადი), „დინამო“ (ალმა-ათა) — „დინამო“ (მოსკოვი), „დინამო“ (ლვოვი) — მინსკის ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტკლუბი (ფისკ), „უნივერსიტეტი“ (მოსკოვი) — „მეხნატი“ (ტაშკენტი), **„მოსკვიჩი“ (მოსკოვი) — „დინამო“ (თბილისი).**

**28 თებერვალი.** „სპარტაკი“ — „დინამო“ (ალმა-ათა), „დინამო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (ლვოვი), ფისკ — „მოსკვიჩი“, „მეხნატი“ — სსფ ცსკ, „დინამო“ (კიევი) — კწფ, **„დინამო“ (თბილისი) — „უნივერსიტეტი“.**



**29 თებერვალი.** „მოსკვიჩი“ — „დინამო“ (მოსკოვი), „უნივერსიტეტი“ — ფისკ, კწფ — „მეხნატი“, „დინამო“ (ალმა-ათა) — „დინამო“ (კიევი), „დინამო“ (ლვოვი) — „სპარტაკი“, **სსფ ცსკ — „დინამო“ (თბილისი).**

**2 მარტი.** „დინამო“ (კიევი) — „დინამო“ (ლვოვი), ფისკ — სსფ ცსკ, „მეხნატი“ — „დინამო“ (ალმა-ათა), „დინამო“ (მოსკოვი) — „უნივერსიტეტი“, „სპარტაკი“ — „მოსკვიჩი“, **„დინამო“ (თბილისი) — კწფ.**

**3 მარტი.** კწფ — ფისკ, „დინამო“ (ლვოვი) — „მეხნატი“, „უნივერსიტეტი“ — „სპარტაკი“, „მოსკვიჩი“ — „დინამო“ (კიევი), სსფ ცსკ — „დინამო“ (მოსკოვი), **„დინამო“ (ალმა-ათა) — „დინამო“ (თბილისი).**

**4 მარტი.** „დინამო“ (კიევი) — „უნივერსიტეტი“, სსფ ცსკ — „სპარტაკი“, „დინამო“ (მოსკოვი) — კწფ, ფისკ — „დინამო“ (ალმა-ათა), „მეხნატი“ — „მოსკვიჩი“, **„დინამო“ (ლვოვი) — „დინამო“ (თბილისი).**

შეჯიბრების დასაწყისი: დილით — 11 ს. საღამოს—18 ს. 1 მარტი დასვენების დღეა.

თბილისის
„ლოკომოტივის“
სტადიონი
(ი. ჭავჭავაძის გამზ. № 74)

ფეხბურთი

27 თებერვალი

საბჭოთა კავშირის
თასი

„ტორპედო“ (ქუთაისი) —
„სპარტაკი“ (ორჯონიკიძე)

დასაწყისი 16 ს. 30 წ.

ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში 10 საათიდან.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.
ИНДЕКС 66435 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 უე 07676